



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №52

2018 წელი 21 აგვისტო


ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში და სოფელ ახალსოფელში მდებარე გარე განათების ბოძების შ.პ.ს. მაგთიკომი“-სათვის პირდაპირი გზით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მასზე საიჯარო ქირის საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის “ე.გ” ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას პირდაპირი გზით მოახდინოს სოფელ სარფში და სოფელ ახალსოფელში მდებარე გარე განათების ბოძების სარგებლობის უფლებით გადაცემა შ.პ.ს. მაგთიკომი“-ზე, მასზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით.
2. დადგინდეს სოფელ სარფში და სოფელ ახალსოფელში მდებარე გარე განათების ერთი ბოძის სარგებლობის უფლების წლიური საიჯარო თანხა ორი ლარის ოდენობით;
3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე